შ.პ.ს.
სილვა გრუპი

SILVA GROUP
LTD

N 001/103

08. 08. 2017 წ

შპს "სენა"-ს , ID ნომერი:406180458
დირექტორს ბატონ გუნაი გულფიდანს

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მ/წლის 08 აგვისტოს საქართველოს კანონის ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №10-40 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შევისწავლე მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა გენერალ კვინიტაძე , N 16. საკადასტრო კოდი: N 01.13.08.001.103 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე და ფოტომასალას 1 CD დისკზე.

პატივისცემით,
დავით კობახიძე
დირექტორი

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st. Tbilisi. Georiia. (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

თარიღი: 08.08.2017 წ.
კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა გენერალ კვინიტაძე , N 16
საკადასტრო კოდი: N 01.13.08.001.103
ფართობი: 420 კვმ
დამკვეთი: შპს "სენა" , ID ნომერი:406180458

ხე–მცენარეების აღრიცხვის უწყისი

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	მდგომარეობა
1	კვიპაროსი ჰორიზონტალური – Cupressus horisontalis	16.6	ჯანსაღი
2	კვიპაროსი ჰორიზონტალური – Cupressus horisontalis	15.3	ზეხმელი
3	კედარი ჰიმალაური – Cedrus deodara	19.4	ჯანსაღი
4	ლეღვი (Ficus carica)	12.4	ხილ–კენკროვანი
5	ლეღვი (Ficus carica)	11.8	ხილ–კენკროვანი

დამკვეთის მიერ მოთხოვნილია 5 ძირი ხე–მცენარის ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვის გაცემა. (იხ. ცხრილი) კერძოდ: 2 ძირი კვიპაროსი ჰორიზონტალური (N1 ჯანსაღია, ხოლო N 2 ზეხმელია და ავარიულია, ტოტები გამხმარია მთლიანად და არის მოტეხვის საშიშროება), 1 ძირი კედარი ჰიმალაური (ჯანსაღი) და 2 ძირი ხილ–კენკროვანი სახეობის კერძოდ ლეღვის ხე.

გარდა ამისა ტერიტორიაზე განთავსებულია 6 ძირი კვიპაროსი ჰორიზონტალური (ჯანსაღი).

N 1 კვიპაროსის და N 3 კედარის გადარგვა მიზანშეწონილად მიმაჩნია აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით მცენარის არასავეგეტაციო პრიოდში. მესაკუთრეს ეძლევა რეკომენდაცია გადარგვის შემდეგ პროცედურებზე:

დარგვამდე უნდა მოამზადდეს ორმო 1,5 მ, დიამეტრი 1,5 მეტრამდე. ნერგი იქნას ამოღებული კომით მინიმუმ 50 სმ რადიუსით. სასურველია ორმოში წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა). ორმოში ნერგი უნდა ჩაიდოს კომით, ორმოში არსებული ცარიელი ადგილები ამოივსოს მიწით ფრთხილად ისე რომ დაზიანდეს ნერგზე მიტკეპნილი მიწა. ნერგი კარგად უნდა მოირწყოს, აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი) და გამაგრდეს თოკებით 3 მხარეს.

შემსრულებელი: დავით კობახიძე
ექსპერტი

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georjia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01172482682**

თარიღი: **05.09.2017**

ადრესატი:
შპს სენა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406180458
მისამართი: გენერალ კვინიტაძის ქ. #16

თქვენი 2017 წლის 15 აგვისტოს #10/0117227870-18 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ შპს „სენა“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძეს ქ. #16 საკ/კოდ 01.13.08.001.103) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება, შესწავლილი იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის შპს ,,სილვა გრუპი“-ს მიერ გაცემულ დასკვნაში (#001/103 08.08.17) მითითებული მწვანე ნარგავების მდგომარეობა, რის შედეგადაც მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის I პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტის, ასევე 26^1-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გასცეს ნებართვა 1 ძირი ზეხმელი ჰორიზონტალური კვიპაროსის (#2 დიამეტრი 15,3სმ) ხის მოჭრის, ხოლო 1 ძირი ჰორიზონტალური კვიპაროსის (#1) და 1 ჰიმალაური კედარის (#3) გადარგვის თაობაზე მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვა, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებისთვის მითითებული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 1 ძირი, მინიმუმ 1,5 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში, რის თაობაზეც სრულყოფილი ინფორმაცია მითითებული უნდა იქნას თქვენს მიერ წარმოსადგენ ხელშეკრულებაში.

საკომპენსაციო რგვა/გადარგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძეს ქ. #16 საკ/კოდ 01.13.08.001.103) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით, აღნიშნულ პერიოდში მცენარეების ხმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ საკომპენსაციო რგვის განხორციელება.

ხოლო, რაც შეეხება ტერიტორიაზე არსებულ ხილ-კენკროვან მცენარეებს (2 ძირი

ლეღვი) საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 82 09